Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

დედანი: ინგლისურ ენაზე

No.: **ICC-01/11**
თარიღი: **27 ივნისი 2011**

წინა საპროცესო განხილვის პალატა I

განიხილავენ: **მოსამართლე სანჯი მასენონო მონაგენგი,**
კოლეგიის თავმჯდომარე
მოსამართლე სილვია სტაინერი
მოსამართლე კუნო ტარფუსერი

ლიბიის არაბულ ჯამაჰირიაში შექმნილი ვითარება

საჯარო

მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფის დაპატიმრების ორდერი

სასამართლოს დადგენილების 31 რეგლამენტის თანახმად, ამ დოკუმენტის შესახებ უნდა ეცნობოს შემდეგ პირებს:

პროკურატურას პროკურორს, ბატონ ლუის მორენო ოკამპოს პროკურორის მოადგილეს, ქალბატონ ფატუ ბენსუდას	**მოპასუხეების დამცველ ადვოკატს**
დაზარალებულთა იურიდიულ წარმომადგენლებს	**მოსარჩლეთა იურიდიულ წარმომადგენლებს**
დაზარალებულ პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით	**მოსარჩლე პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით მონაწილეობის/რეპარაციისათვის**
დაზარალებულთა საჯარო დაცვის ადვოკატურას	**მოპასუხეთა საჯარო დაცვის ადვოკატურას**
ქვეყნების წარმომადგენლებს	**სასამართლო ექსპერტებს**

რეესტრი

რეგისტრატორი ქ-ნი სილვანა არბია **რეგისტრატორის მოადგილე** ბ-ნი დიდიერ პრეირა	**მოპასუხეთა დახმარების განყოფილება**
დაზარალებულთა და მოწმეთა ქვედანაყოფი	**საპატიმრო განყოფილება**
დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის განყოფილება	**სხვა**

საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს (“სასამართლო”) **წინა საპროცესო განხილვის პალატა I** (“პალატა”);

გაეცნო რომის კანონმდებლობის (“კანონმდებლობა”) 13(b) მუხლის თანახმად სასამართლოს პროკურორის სახელზე გაგზავნილ რეზოლუციას 1970, რომელიც ერთსულოვნად იქნა მიღებული გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს მიერ 2011 წლის 26 თებერვალს და რომელიც ეხება ლიბიის არაბულ ჯამაჰირიაში (“ლიბია”) 2011 წლის 15 თებერვლიდან შექმნილ ვითარებას;

აცნობს “პროკურორის განცხადებას 58-ე მუხლის თანახმად მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფის, საიფ ალ-ისლამ გადაფისა და აბდულა ალ-სენუსის შესახებ” (“პროკურორის განცხადება”),[1] რომელიც 2011 წლის 16 მაისს პროკურომა შეიტანა სასამართლოში, და რომლის თანახმადაც მან, *სხვა საკითხებთან ერთად,* მოითხოვა ორდერის გაცემა მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფის (“მუამარ გადაფის” ან “გადაფის”) დაპატიმრების შესახებ, მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო პირების მკვლელობისა და დევნის გამო, აგრეთვე 2011 წლის 15 თებერვლიდან დღემდე ლიბიის მთელი ტერიტორიის მასშტაბით განხორციელებული კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისა და კერძოდ, *სხვათა შორის,* კანონმდებლობის 7(1)(a) და (h) მუხლების დარღვევით ტრიპოლში, ბენგაზსა და მისრატაში, ლიბიის სახელმწიფო აპარატისა და უსაფრთხოების ძალების გამოყენების გამო, და კანონმდებლობის 25(3)(a) მუხლის მიხედვით, ამ დანაშაულებათა მოთავეობის გამო;

გაეცნო კანომდებლობის 58-ე მუხლის მიერ დაკანონებული სტანდარტის შესაბამისად პროკურორის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მიწოდებულ ინფორმაციასა და სამხილს (“მასალებს”), რათა განესაზღვრა არსებობს თუ არა სარწმუნო საფუძველი იმისათვის, რომ მუამარ გადაფი მიჩნეულ იქნას

[1] ICC-01/11-4-Conf-Exp and its annexes.

დამნაშავედ პროკურორის მიერ მსჯავრდებული დანაშაულებების ჩადენაში და წარმოადგენს თუ არა მისი დაპატიმრება აუცილებლობას;

აცნობს კანონმდებლობის 7(1)(a) და (h), 19, 25(3)(a) და 58 მუხლებს;

განიხილავს, რომ პროკურორის მიერ წარმოდგენილი სამხილის მასალებზე დაყრდნობით, პალატა დარწმუნდა, რომ მუამარ კადაფის წინააღმდეგ აღძრული საქმე ამ სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება და რომ არ არსებობს რაიმე ყალბი მიზეზი ან რაიმე თავისთავად ცხადი ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა ამ სასამართლოს აღუძრას სიფრთხილის მომენტი კანონმდებლობის 19(1) მუხლის თანახმად, რომელმაც ამ ეტაპზე შეიძლება განსაზღვროს მუამარ კადაფის წინააღმდეგ აღძრული საქმის მტკიცებულობის ფაქტორი, კანონმდებლობის მე-19 (2) მუხლის შესაბამისად და მტკიცებულების ობიექტურობაში რაიმე წინააღმდეგობის შეტანის გარეშე;

განიხილავს პალატის დასკვნას, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ ტუნისსა და ეგვიპტეში მომხდარი მოვლენების შემდეგ, რომლებმაც 2011 წლის დასაწყისში ამ ქვეყნების პრეზიდენტების გადადგომა გამოიწვიეს, ლიბიის სახელმწიფოებრივი აპარატის უმაღლეს დონეზე შემუშავდა ისეთი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ნებისმიერი ძალისხმევის, მათ შორის სასიკვდილო ძალის გამოყენებით, თავიდან აეცილებინა და ჩაეხშო გადაფის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული 2011 წლის თებერვლის სამოქალაქო დემონსტრაციები;

განიხილავს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველის იმისა, რომ ზემოხსენებული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, 2011 წლის 15 თებერვლიდან სულ მცირე 2011 წლის 28 თებერვლამდე ლიბიის უშიშროების ძალებმა,[2] დანაშაულებრივი ხერხის გამოყენებით (*modus operandi)*, ლიბიის მთელ

[2] ტერმინი "უშიშროების ძალები" შემდგომში იხმარება ლიბიის უშიშროებისა და სამხედრო აპარატის განსასაზღვრავად, რომლებიც ძირითადად შედგებიან ლიბიის შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის ნაწილებისაგან ; სამხედრო მზვერავების; გარე და შიდა უშიშროების სამსახურის; რევოლუციური კომიტეტებისა და მათი ბიუროების; რევოლუციური გვარდიის; სახალხო გვარდიის; რევოლუციური საბრძოლო რაზმების; ბრიგადებისა და შეიარაღებული ფორმირების სხვადასხვა რაზმებისაგან.

ტერიტორიაზე განახორციელეს იმ სამოქალაქო პირებზე თავდასხმა, რომლებიც ან მონაწილეობას იღებდნენ გადაფის რეჟიმის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციებში, ან დისიდენტებად იყვნენ მიჩნეულნი;

განიხილავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია თავდასხმის შედეგად გამოწვეულ დაზარალებულ პირთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა რეჟიმის მიერ შემუშავებული შენიღბვის კომპანიის გამოყენების გამო, რომელიც მიმართული იყო იმისკენ, რომ დაეფარათ უშიშროების ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი, არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ 2011 წლის 15 თებერვლისათვის და 2011 წლის თებერვლის ბოლო ორი კვირის განმავლობაში, უშიშროების ძალებმა მოკლეს და ჭრილობა მიაყენეს, აგრეთვე დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს ასობით სამოქალაქო პირი;

განიხილავს, რომ ამიტომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით გამართული სისტემატური და ფართო ხასიათის თავდასხმები, რომლებიც მიმართული იყო გადაფის რეჟიმის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციებში მონაწილე მშვიდობიანი მოსახლეობის, ან ეგრეთ წოდებული, მისი რეჟიმის მოწინააღმდეგე დისიდენტების წინააღმდეგ, განხორციელდა კანონმდებლობის 7(1) მუხლების ფარგლებში;

განიხილავს განსაკუთრებით იმ ფაქტს, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი, იმისა, რომ მკვლელობები, რომლებიც მიჩნეულია, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ჩადენილ იქნა ლიბიის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ტრიპოლში, მისრატსა და ბენგაზში, აგრეთვე ბენგაზის შემდეგ მიმდებარე ქალაქებში: ალ-ბაიდა, დერნა, ტობრუკი და აჯდაბია, და ამგვარი მკვლელობები განხორციელებულ იქნა უშიშროების ძალების მიერ 2011 წლის 15 თებერვლიდან სულ მცირე 2011 წლის 25 თებერვლამდე მშვიდობიანი დემონსტრანტების ან გადაფის რეჟიმის მოწინააღმდეგედ მიჩნეული დისიდენტების წინააღმდეგ გამართული თავდასხმების შედეგად;

განიხილავს აგრეთვე, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ 2011 წლის 15 თებერვლიდან სულ მცირე 2011 წლის 28 თებერვლამდე, ლიბიის ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში, განსაკუთრებით კი ბენგაზში, ტრიპოლში, მისრატსა და სხვა მიმდებარე ქალაქებში, უშიშროების ძალების მიერ განხორციელებული არაჰუმანური ქმედებები, რომლებმაც სასტიკად შელახეს სამოქალაქო მოსახლეობის ძირითადი უფლებები, განხორციელებულ იქნა მხოლოდ იმიტომ, რომ სამოქალაქო პირები გაერთიანდნენ გადაფის რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ოპოზიციაში (მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ამგვარი წინააღმდეგობა რეალური თუ რეჟიმის მიერ ამგვარად მიჩნეული);

განიხილავს, რომ მასალებიდან გამომდინარე არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ მუამარ გადაფს, როგორც ლიბიის აღიარებულ და უცილობელ ლიდერს, პროკურორის განცხადების შესაბამისად, ლიბიის სახელმწიფო აპარატსა და უშიშროების ძალებზე ეჭირა აბსოლუტური, უმაღლესი და უცილობელი კონტროლი და აგრეთვე მისი თანამდებობიდან და ახლობელთა შიდა წრიდან გამომდინარე, თავისი ვაჟიშვილის საიფ ალ-ისლამ გადაფის ჩათვლით, მან დაგეგმა და განახორციელა საკუთარი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დემონსტრაციების ნებისმიერი მეთოდით თავიდან აცილებისა და ჩახშობის გეგმა;

განიხილავს, რომ მასალებიდან გამომდინარე არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებით მუამარ კადაფმა წვლილი შეიტანა გეგმის შემუშავებაში, რომელსაც შედეგად მოჰყვა ზემოაღნიშნული დანაშაულებები და რომ მას მიუძღვის უმთავრესი წვლილი ამ გეგმის განხორციელებაში, იმის გამო, რომ მის ხელში იყო ძალაუფლება, რათა შეეჩერებინა დანაშაულებრივი ქმედებები და რომ მან მისი ეს ძალაუფლება არ გამოიყენა;

განიხილავს აგრეთვე, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ მუამარ გადაფს (i) განზრახული ჰქონდა განეხორციელებინა გამიზნული დანაშაულებების სხვადასხვა ნაწილები; (ii) იცოდა, რომ მისი ქმედება სახელმწიფოებრივი

პოლიტიკის შესაბამისად ხელს უწყობდა მშვიდობიანი მოქალაქეებისა და პოლიტიკურ დისიდენტებად მიჩნეულ სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებულ და სისტემატურ თავდასხმებს, რომლებიც მან თავის შინაურ წრესთან ერთად შეიმუშავა და რომელშიც მისი ვაჟიშვილი, საიფ ალ-ისლამ გადაფიც იღებდა მონაწილეობას; (iii) ძალიან კარგად ესმოდა, თუ რა როლს ასრულებდნენ მისი სტრუქტურის უმაღლესი რანგის თანამდებობის პირები ლიბიის სახელმწიფო აპარატში და კარგად იცოდა საკუთარი ძალაუფლების მასშტაბები, რომ მას შეეძლო დაემყარებინა სრული კონტროლი თავის ხელქვეითებზე და (iv) იცოდა იმის შესახებ, რომ გეგმის განხორციელება გამოიწვევდა გამიზნული დანაშაულებების განხორციელებას და მან მიიღო ეს პირობები;

განიხილავს შესაბამისად, რომ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ მუამარ გადაფს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, როგორც დანაშაულის ხელშემწყობს და თანამონაწილეს კანონმდებლობის 25(3)(a) მუხლის თანახმად მის კონტროლს დაქვემდებარებული უშიშროების ძალების მიერ ლიბიის ტერიტორიის სხვადახვა ადგილებში, განსაკუთრებით კი ბენგაზში, მისრატში, ტრიპოლსა და სხვა მიმდებარე ქალაქებში 2011 წლის 15 თებერვლიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე ჩადენილი შემდეგი დანაშაულებებისათვის:

i. მკვლელობა, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული კანონმდებლობის 7(1)(a) მუხლით; და
ii. დევნა, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, კანონმდებლობის 7(1)(h) მუხლით;

განიხილავს, რომ კანონმდებლობის 58(1) მუხლის თანახმად, ამ ეტაპზე მუამარ გადაფის დაპატიმრება წარმოადგენს აუცილებლობას იმისათვის, რომ (i) შესაძლებელი გახდეს მისი სასამართლოს წინაშე წარდგენა; (ii) რომ მან ვეღარ შეძლოს საკუთარი ძალაუფლების გამოყენება გამოძიების ხელის შეშლისა და დაბრკოლების შექმნის მიზნით, განსაკუთრებით უშიშროების ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულებების დაფარვა; და (iii) რომ მას არ მიეცეს შესაძლებლობა

გამოიყენოს საკუთარი ძალაუფლება და აბსოლუტური კონტროლი ლიბიის სახელმწიფო აპარატზე, რათა სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში კვლავ განაგრძოს დანაშაულებების ჩადენა;

ამ მიზეზების გამო, პალატა

ამრიგად გასცემს მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფის (აგრეთვე ცნობილს სახელებით: "გადაფი", "გადჰაფი" ან "კადაფი"), დაპატიმრების ორდერს, რომლის ფოტოსურათი ერთვება ამ დოკუმენტს. იგი დაიბადა 1942 წელს ლიბიის ქალაქ სირტეს ახლოს, იყო ლიბიის არაბული ჯამაჰირიის შეირაღებული ძალების მეთაური და მიღებული აქვს *რევოლუციის ლიდერის* ტიტული და უჭირავს ლიბიის სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა.

დოკუმენტი მომზადებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგანაც ინგლისური ასლი წარმოადგენს ოფიციალურ დედანს.

/ხელმომწერი/

მოსამართლე სანჯი მასენონო მონაგენგი

კოლეგიის თავმჯდომარე

/ხელმომწერი/	**/ხელმომწერი/**
მოსამართლე სილვია სტაინერი	**მოსამართლე კუნო ტარფუსერი**

დათარიღებულია 2011 წლის 27 ივნისით, ორშაბათი

ჰააგა, ნიდერლანდები